# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისის 12/04/2019 წელი

შპს „ახალგაზრდობის საერთაშორისო ჯგუფი“ ს/ნ **400225038** მისი წარმომადგენლის, დირექტორი: სალომე ბენდიანიშვილის პ/ნ [redacted] სახით და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი ს/ნ 245628496 მისი წარმომადგენელს რექტორი: მაია ჭიჭილეიშვილი პ/ნ [redacted] სახით (შემდგომში „მხარეები“) ერთობლივი ინიციატივით ვთანხმდებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე.

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია, შპს „ახალგაზრდობის საერთაშორისო ჯგუფის“ მიერ დაგეგმილი საგანმანათლებლო / შემეცნებითი პროექტების ფარგლებში მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესებში შემავალი, აქტუალური მიმართულების პროექტების განსახორციელებლად, მხარეებს შორის არსებული რესურსების (მათ შორის ინტელექტუალური) გაზიარება.

3. მემორანდუმის ამოცანები

3.1. ორივე მხარისთვის მნიშვნელოვან, სხვადასხვა აქტუალურ თემებზე/საკითხებზე ერთობლივი პროექტების დაგეგმვა/განხორციელება.

3.2. ორმხრივი ინტერესების შემთხვევაში ერთობლივი სასწავლო პროგრამის შემუშავება და ზრუნვა ამ პროგრამების შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციაზე; აგრეთვე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, კონსულტაციის გაწევა სასწავლო პროგრამებისა და მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში.

3.3. შიდა კონკურსების ჩატარება და სტუდენტების ჩართვის უზრუნველყოფა სასწავლო პროგრამებსა და პროექტებში.

4. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

4.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობა წარმართონ ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრონციპებზე დაყრდნობით.

4.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას, მემორანდუმის ფარგლებში საქმიანობების განხორციელებისას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი პირობა, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

5. მემორანდუმის მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

5.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

5.2. წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისთვის 30 (ოცდა ათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

6. დამატებითი პირობები

6.1. მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა შორის წარმოშობილი ურთერთობა არ ნიშნავს რაიმე სახის ასოციაციას, კავშირის ან/და გაერთიანების შექმნას.

6.2. მესამე პირებთან ურთიერთობებში არცერთ მხარეს აქვს უფლება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით.

6.3. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

| | |
|---|---|
| სალომე ბენდიანიშვილი | მაია ჭიჭილეიშვილი |
| შპს „ახალგაზრდობის საერთაშორისო ჯგუფი“ | ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი |